ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3572842

ნომერი: AR1542250

თარიღი : 21.09.2017

გაცემის თარიღი : 27.09.2017

გაცნობის თარიღი : 27.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე ქავთარაძე პ/ნ 01017019656
- თბილისი ს.ვირსალაძის ქ. N 8 ბ. 14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 სექტემბერს №AR1542250 განცხადებით მომართა მოქ. ეკატერინე ქავთარაძემ და მოითხოვა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებით დამტკიცდა, ქ.თბილისში, გორგასლის ქუჩა N 6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ № 01.18.05.001.006 მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული-საოფისე) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მშენებლობის სახეობად მითითებულია ახალი მშენებლობა, ნაცვლად რეკონსტრუქციისა (მიშენება-დაშენება).
სამსახურმა 2017 წლის 20 სექტემბრის AR1542250 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მშენებლობის სახეობად მიეთითოს: რეკონსტრუქცია (მიშენება/დაშენება).

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3464443 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.